

რეკავ შეროზია

ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის. III

ქართველური ლექსიკური ფონდი, როგორც ცნობილია, საერთოა სალიტერატურო და მრავალფეროვანი სამეტყველო ვარიანტებისათვის. გამონაკლისს ნასესხობებიც არ წარმოადგენს (ლაზურის დღევანდელი ვითარების გამოკლებით...). ძირ-ფუძეებში ფონეტიკური ცვლილებებით გამოწვეული სხვაობები უკლებლივ ყველა ქართველურ მეტყველებას ახასიათებს მეტ-ნაკლებად. დასადგენი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, თუ რომელ მათგანშია მოცემული ამოსავალი ფორმა [მაგალითისთვის: **ფოთელ** (სულხან-საბა) თუ **ფოთოლ**?...]. ენის სისტემისა და სტრუქტურის კანონებმა (მოთხოვნებმა) უნდა აგვიხსნას ეს და არა მხოლოდ სალიტერატურო ვარიანტის ფიქსირებულობამ, — რაკილა ძველ ქართველურ ტექსტებში ლექსემის ეს ფორმა დასტურდება, ამოსავალიც ის არის... მსგავსი დამოკიდებულება საეტიმოლოგიო მასალისადმი იგრძნობა არაერთ ავტორთან.

1. ცნობილია შეფარდება **თიჯა : დისა**. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ არქეტიპად აღდგენილია **დიჯ-** (“საერთოზანურ” არქეტიპად ***დიჯა**), ხოლო გ. კლიმოვი თავისი “ქართულ-ზანური ერთიანობის ხანის თეორიით აღადგენს ***თიჯა** არქეტიპს. თავისთავად დაისმის კითხვა: თუ ასეთი “ზანა” არსებობდა და გაბატონებული ფორმა **თიჯა** იყო, როგორღა მივიღეთ თანამედროვე მეგრულ-ლაზურ მეტყველებაში **დისა**?! სისტემისა და სტრუქტურის გათვალისწინებით შეუძლებელია ზანურში დისიმილაციური გამჟღერება ვიგულისხმოთ. სავარაუდოა, რომ სალიტერატურო ვარიანტში **ღ>თ** პროცესი **ჯ**-ს გამო მოხდა, ხოლო ზანურში **ჯ**-ს ნეიტრალიზება (**ხ**-ში შერწყმა) გაცილებით ადრე განხორციელდა. ამიტომაც **ღ-მ** აქ შეინარჩუნა პოზიცია (სალიტერატუროში **ჯ>ხ** გადასვლა ცნობილია). ამრიგად, **თიჯა:დისა** შეფარდებაში ამოსავალი ვითარება (ნაწილობრივ მაინც) მეგრულ-ლაზურ მეტყველებებს აქვს დაცული (ამიტომ სამართლიანია ***დიჯა** არქეტიპის აღდგენა).

შენიშვნა: სვანური მეტყველებიდან მოხმობილი **ნა-დიჯ** ფორმა (მ. ჩუბუა, 2003), რომელიც სამეგრელო-სვანეთის ტოპონიმიშიც დასტურდება, ზანურის იმ ვითარებას ასახავს, როცა **ჯ>ხ** პროცესი ჯერ კიდევ არ იყო რეალიზებული...

2. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, **ბორკ-ილ** ფუძე, უძველეს ქართველურ ტექსტებში დადასტურებული, ზანურია განმოვანებით (“მეგრულიდან ან ლაზურიდან არის ნასესხები”). ეს დასკვნა გაკეთებულია “ქართული” **ბარკ-ალ**, “მეგრული” **ბორკ** და “სვანური” **ბარკა** ფუძეთა შეპირისპირებით (საფიქრებელია, რომ მეგრულ მეტყველებაში დადასტურებული **ბარკალია** (გვარი), **გი-ბარკ-ალ-უ** (დაბორძიკობს), **გი-ფარკ-ალ-უ** (ფენზე ძლივს დგას, დაქანაობს) ფორმებიც **ბარკ-ალ** (**//ფარკ-ალ**) ფუძისგან იყოს ნაწარმოები და ის “უკუნასესხობად” ვერ კვალიფიცირდება).

3. ეტიმოლოგიური ძიებების დროს ზოგჯერ საეჭვო (თუ არარსებული არა...) მასალასაც არის მოხმობილი: **და-ლაგ-ებ-ა** ფორმის **ლაგ** ძირი ერთ შემთხვევაში შეპირისპირებულია მეგრულ **ლოგ-უ-ა** “გამოფენა გაშლა” ლექსემასთან (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 301), თუმცა მსგავსი სიტყვა მოცემული მნიშვნელობით მეგრულ მეტყველებაში არ დასტურდება. მეორე შემთხვევაში (**რდა-ლაგ-ებ-ა** დაკავშირებულია სვანური მეტყველების **ლაგ/ლგ** ძირთან, რომელიც “დაფასებას, ფასის დაღებას” აღნიშნავს. აქედან

გამომდინარე, ავტორი აღნიშნულ მასალას უკავშირებს **ბ-ლოგ-ინ-ან-ქ** (“ვაფასებ”), **ლოგ-ინ-უ-ა** (“დაფასება”)... ფორმებს ერთობ საექვო მნიშვნელობით და ასკვნის: “ფუძეთა ერთიანობას ზანურსა და სვანურში მხარს უჭერს სიტყვის სემანტიკაც, რაც ერთადერთი ფას/დაფასების შინაარსით ვლინდება; ქართულში მსგავსი გაგება არ არის ცნობილი. ცხადია, დაფასება ქართველურ ენებში დადგმის/დადების (დალაგების) სემის შემდგომ ევოლუციას წარმოადგენს” (მ. ჩუხუა, 2003, გვ. 138).

გაუგებარია, **ა:ო** ბგერათშესატყვისობის დასამტკიცებლად მსგავსი მანიპულაციები რატომ არის საჭირო?! ძნელი დასანახი არ უნდა იყოს, რომ სალიტერატურო **ლაგ** (და-ლაგ-ებ-ა) უპირისპირდება მეგრული მეტყველების **ლოგ**-ინ ფუძეს, რომელიც სემანტიკურადაც ახლოს დგას **ლაგ** ძირთან. ამასთან, აშკარაა, რომ **ლოგ-ინ-ი** და **ბორკ-ილ-ი** ფორმები ერთგვაროვანია სალიტერატურო ლექსიკურ ფონდთან მიმართებით...

4. **სერ** ერთ-ერთი იმ ძირთაგანია, რომელიც მეგრულ-ლაზურმა მეტყველებამ დღემდე შეინარჩუნა ამოსავალი ფორმითა და სემანტიკით, — მისგან სხვადასხვა სახელური და ზმნური ფუძეები იწარმოება: **ო-სერ-(ი)შ-ე** (ვანშამი), **გ-ი-სერ-უ-ან-ს** (დაიღამებს; ღამეს გაათევს), **ქეწა-სერ-უ** (თვალთ დაუბნელებს; გონებას დაკარგავს), **ღღაშდოსერით** (დღედაღამ), **სერ-სერ-ით** (ღამღამობით)... სალიტერატურო ფონდში კი იგი არაპროდუქტიული გახდა. “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში” **სერ-ი** კვალიფიცირებულია როგორც “ძველი”. მიუხედავად იმისა, რომ ზანურში ამ ძირისგან ნაწარმოებ ფორმათა ასეთი სიმრავლე დასტურდება, **სერ** მიჩნეულია “ქართულის” კუთვნილებად, ხოლო მის კანონზომიერ შესატყვისად წარმოდგენილია ზანური **ო-სარ-ე** (პერანგი), — დამოწმებულია **ე:ა** ბგერათშესატყვისობისათვის (შდრ.: ი. ყიფშიძე, 1994, გვ. XXI). ასეთ შემთხვევაში უნდა ახსნილიყო, თუ რატომ გვაქვს ზანურში **სერ** ძირისგან ნაწარმოები ფუძეების სიმრავლე და **ა** განმოვანებით კი — მხოლოდ ერთი ლექსემა! მ. ჩუხუამ ეჭვი შეიტანა **სერ:სარ** შეპირისპირებაში, მაგრამ არა იმის გათვალისწინებით, რომ ორივე (**სერ, სარ**) დასტურდება მეგრულ-ლაზურ მეტყველებაში. მან **ო-სარ-ე** შეუპირისპირა “ქართულ” (გურულ) **ასალა** (ქეჩა, კეხის ქვეშ დასაფენი) და “სვანურ” **უოსარ** (ჩონა) ფუძეებს და ზანურისთვის აღადგინა ***ოსორა** არქეტიპი (!). ავტორის მსჯელობიდან ჩანს, რომ **ასალა:ოსარე** შეპირისპირებისას მისთვის მნიშვნელოვანი იყო **ოსარე** (ასევე, ზეწარი) ლექსემის მეორეული, გადატანითი მნიშვნელობა (“ურმის ნაწილი”)... რაც შეეხება სვანური მეტყველების **უოსარ** (ჩონა) ფორმას, აშკარაა მისი იდენტურობა **ოსარე**-სთან, რომლის ძირი და სემანტიკა ვერ დაშორდება **სერ-ი** სიტყვას.

შენიშვნა: **ა:ო** შესატყვისობისათვის შეპირისპირებულია “ქართული” **ფარ-ავ-ს**, „მეგრული“ **ფორ-უ-ა** (დაფარვა), „სვანური“ **ლი-ლ-ფარ-ი** (დაფარვა), **ლი-ფრ-ენ-ი** (დაფარება)... მეგრულ მეტყველებაში დასტურდება **ა-ზმოვნინი** ფორმაც: **ო-ფარ-ე** (ზურგი) “მოსაფერებელი” - ოფარე ქურთინუ (ზურგი შეაქცია). სავარაუდოა, რომ **სერ>სარ** და **ფორ>ფარ** ცვლილებებს ზანურში სემანტიკური მიზეზი უდევს საფუძვლად.

5. **ბაძგარ-ი** (ეკლიანი მცენარე) შეტანილია სულხან-საბას ლექსიკონში. დადასტურებულია იგი იმერულ, ლეჩხუმურ, გურულ, აჭარულ მეტყველებებშიც (**ბაძგ-ი, ბაძგარ-ი**...). მეგრულში შესატყვისად დასახელებულია **ბუძგ-ა** (ეკლები წაბლის ქერქზე), რომელიც მიღებულია აღდგენილი ***ბურძგ<ბორძგ** ფორმებისაგან (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2007, გვ. 97). იმავე ლექსიკონში, სხვაგან, ეს აღდგენილი ძირი (**ბურძგ**) უკვე არქეტიპად არის წარმოდგენილი “ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის” (გვ. 126), — საუბარია “ა-

ბურძგ-ნ-ა (თმისა); მეგრ. **ბუძგ-უ-ა** (!) (გაბურძგნა თმისა), ლაზ. **ო-ბუძგ-უ/ო-ბუძგ-ინ-უ** (გაბურძგნა თმისა)” შეპირისპირებაზე (გვ. 125). ნაშრომში დამოწმებული **ბიძგ-უ-ა/ბუძგ-უ-ა** საეჭვო ფორმების გარდა მეგრულ მეტყველებაში გამოყენებულია **ა** და **უ** ხმოვნის სხვა ფუძეებიც: **ბაძგარ-ამ-ი** (ეკლიანი მცენარის ყვავილებით მოსვრილი); **ბაწკარ-ია** (ბაძგარ-ია-ს გამკვეთრებული ვარიანტი); **ბუძგ-ურ-ი** (ბუსუსი; ბურძგლი); **გო-ბურძგ-ონ-ილ-ი**, **გობიძგინაფილი** (გაბურძგნული); სქან ნაბუძგულუ (ფეხი, “ნაბურძგლი”) ვაბძირა თაქ (შენი ფეხი არ ვნახო აქ). შესაძლებელია, ამავე რიგში დასახელებს **ბურძგლა** (გვარი) და **ლუბაძგარ-ი** (ძუნწი, წუწურაქი), თუ ვივარაუდებთ პროცესს ***ლვა-ბაძგარი>*ლობაძგარი>ლუბაძგარი** “პირეკლიანი” (?). წარმოდგენილ მასალას თუ გავითვალისწინებთ, გაჭირდებოდა **ბაძგ**, **ბუძგ**, **ბურძგ**, **ბიძგ** ძირების ერთმანეთისგან დაცილება როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით. ამასთან, ყურადღების გარეშე ვერ დარჩება ის ფაქტი, რომ მთელი ეს ძირ-ფუძეები ფიქსირდება დასავლურ ქართველურ არეალში, სადაც ზანური მეტყველების მახასიათებელი კვალი საძებარი არ არის. არნ. ჩიქობავა როცა ლაზურ (ჭანურ) **უ-ბუძგ-უ-ნ** (დაბუჟება), მეგრულ **ბუძგ-ა** (ეკლები წაბლის ნაყოფზე) და ქართულ **ბუძგ-ი** (“პატარა ზღარბი” — სულხან-საბა) ფუძეებს ერთმანეთს უდარებდა, იქვე აღნიშნავდა, რომ “ერთის შეხედვით, არაფერია საერთო ფეხის “დაბუჟებას” და ზღარბს ანდა წაბლის ნაყოფის ეკლებს შორის, მაგრამ ეს ორი უკანასკნელი რომ ერთმანეთს დაუკავშირდეს, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა; დაბუჟება ისეთ განცდას იწვევს; თითქოს “ბუძგები” ესობოდეს დაბუჟებულ ნაწილში” (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 356). ამ სავსებით მართებულ მსჯელობაში მეცნიერს **ბუძგ-ურ-ი** (ბურძგლი-ი), **ბურძგ-ურ-ია** ფორმები არ შემოუტანია (ისედაც ნათელი იყო აზრი?). თუმცა დაისმის საკითხი **გა-მ-ბურძგლ-ა** ზმნის ზანურ **ბაძგ**, **ბუძგ**, **ბურძგ** ძირებთან მიმართებისა. სავარაუდოა, რომ **ბურძგლ** (<**ბურძგ-ალ**. შდრ. **კურცხ-ალ>კურცხლ-ი...**) გურული მეტყველების მეშვეობით დამკვიდრდა ქართველურ ლექსიკურ ფონდში.

შენიშვნა: არაიშვიათად, ეტიმოლოგიურ ნაშრომებში ზანური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები რომელიმე დასავლური მეტყველების (გურული, იმერული...) კუთვნილებად არის მიჩნეული (იხ. ზევით). მსგავსი ვითარებაა “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში”. სასურველია და საჭიროც, ახალ გამოცემაში ასეთი ხარვეზები გასწორდეს.

6. წერილობითი წყაროების მონაცემები და თანამედროვე ქართველური მეტყველებები გვიჩვენებს **ძ-ჯ** დაპირისპირებას: **ძ-ელ-ი-ჯ-ალ** (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 120); **ძირ-ი-ჯინჯ-ი** (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 628). ამ უკანასკნელ დაკავშირებაში შემოტანილია აგრეთვე **სა-ძირ-კ-უ-ელ-ი** : **ჯირ-კ-ი/ჯიკი**, ლაზური **ჯირ-ჟე-ი** ფორმები (ფუძეთა სეგმენტაცია ზ. სარჯველაძეს ეკუთვნის). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **საძირკველ** და **ჯირკ** ფუძებთან **ჯინჯ-**ის გათანაბრება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ **ძ-ელ**, **ძ-ირ**, **ჯ-ალ**, **ჯ-ინჯ** (ასევე: **ძ-ირ-კუ**, **ჯ-იკ**, **ჯ-ირ-კ**) ფორმებში ძირეულ მასალად **ძ** და **ჯ**-ს გამოვყოფდით.

“ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში” ჯ ძირიდან ნაწარმოები ფუძეები საკმაოდ ხშირია: **ჯარგვალი**, **ჯიკავი**, **ჯიკაობს**, **ჯირკი**, **ჯირკვი**, **ჯირკვა** (დაბალი, ჩასკენილი ადამიანი), **ჯირკვალი**, **ჯირკუტანა**; **ჯინკოლა** (<ჯინჯ+კოლო “ძირმწარა”, მცენარე), **ოჯინჯალი** (“შუაგეცხლის თავზე გადებული ძელი, რომელზედაც ჰკიდია ჯაჭვი (ცივიან გურიაში, იმერეთში)” (?), — ყველა ფორმა მეგრულ-ლაზური მეტყველების “წილია” საერთოქართველურ ლექსიკურ ფონდში

და არა “ქართველურ ენებად” დასაყოფი მასალა, ბგერათმესატყვევისობის სამტყვიცებლად გამოსაყენებელ-გამოსადეგი.

ძ: ბგერათფარდობა (ასევე, ზოგიერთი სხვაც) ქართველურ მეტყველებებს შორის დასტურდება (თუმცა “რეგულარული” არ ჩანს...), მაგრამ ერთი მეტყველების ფარგლებში არსებული ფორმათვარიანტების ან ამ მეტყველებიდან საერთო ლექსიკურ ფონდში დამკვიდრებული ლექსემების გამოყენება ბგერათმესატყვევისობის დასამოწმებლად მართებული ვერ იქნება.

შენიშვნა: სავარაუდოა, რომ ი. ყიფშიძე **ჯირკ-ი** სიტყვის განმარტებისას სულხან-საბას ეყრდნობოდა. შემდგომში ამ ლექსემის “ქართულობა” უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული. თუმცა ცნობილია ძველი მწერლობის **ძირკუ** ფორმა (ი. აბულაძე, 1973).

დამოწმებული ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
ა. მაყაშვილი, 1963 - ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1963.
ს.ს.ორბელიანი, 1966 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1966.
ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
ი. ყიფშიძე, 1994 - ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
რ. შეროზია, 2002 - რ. შეროზია, ჩვენებითი სისტემისა და ორიენტაციის კატეგორიის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ძველ სალიტერატურო ენასა და მეგრულ-ლაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, 2002.
არნ. ჩიქობავა, 1938 - არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
მ. ჩუხუა, 2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
ა. ჭინჭარაული, 2005 - ა. ჭინჭარაული, ხვესურული ლექსიკონი, თბ., 2005.

REVAZ SHEROZIA

ON THE KARTVELIAN ETYMOLOGY MATERIAL. III

Kartvelian word stock is common to the literary language and to the variety of the Georgian speeches. Even the borrowings (except from the today's condition of the Laz dialect) do not make exceptions to the rule. The variations in the roots and stems are the results of phonetic changes in all the Georgian dialects. The question is which one of the phonetic varieties can be regarded as an initial form. The laws of the language system and structure in general should explain the originality of the form, - and not only the fixed literary forms, as is often believed that if a particular word is found in the ancient Kartvelian texts, then it is regarded as original form...

This paper discusses roots and stems traced in the speech of Megrels and Laz, as, for instance: **log-in-i**, **ser-i**, **o-sar-e**; **badzgar-i**, **go-burdzg-on-il-i**, **budzg-ur-i-a**, **burdzgla** (a family name), **ghubadzgari**; **jik-i**, **jirk-i**, **jirkval-i**.. The present article promotes an idea that these and many other common Kartvelian lexemes have been established through Megrel-Laz speech forms.